

სულ მალე საბჭოთა ქვეყანა და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს იზეიმებენ. საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები ამ პერიოდში ჩატარებულ ყველა შეჯიბრებას სახელოვან იუბილეს უძღვნიან.

## უნივერსიადის ფინიში

ჰელსინკი, 10 აპრილი. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა მატჩით დამთავრდა მსოფლიო უნივერსიადა, რომელშიც 27 ქვეყნის სტუდენტური ორგანიზაციების შვიდასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩეხოსლოვაკიის გუნდში იყო ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ექვსი ბრინჯაოს პრიზიორი — მეკარე ძურილა, მცველი ხორეშოვსკი, თავდამსხმელები გლინკა, ნედომანსკი, ხოლიკი და შევჩიკი. ამ გუნდმა მოუგო საბჭოთა ნაკრებს, რომელიც „ხიმიკისა" (ვოსკრესენსკი) და „ავტომობილისტის" (სვერდლოვსკი) ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული — 4:1.

ჰოკეისტთა ვერცხლის მედალი ამ ღირებულების მეთექვსმეტე პრიზია საბჭოთა გუნდის ნადავლში, რომელმაც უნივერსიადაში ოქროს 13 და ბრინჯაოს 8 მედალი — ყველა დანარჩენ ქვეყანაზე მეტი ჯილდო მოიპოვა.

(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№72 (4066)

1970 წ. 12 აპრილი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მშვიდობის ველორბოლა - 70

12 მაისს პრაღაში დაიწყება და 26 მაისს ბერლინში დამთავრდება მშვიდობის ველორბოლა, რომელშიც მონაწილეობენ 15 ქვეყნის გუნდები, მათ შორის, სსრ კავშირის კოლექტივი. 1978-კილომეტრიანი ტრასა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გდრ-ის გზებზე გადის, 15 ეტაპადაა დაყოფილი. მათგან ყველაზე გრძელია (201 კმ) ბოლო ეტაპი — ულენბურგიდან გდრ-ის დედაქალაქამდე.

სოჭის მრავალდღიანი საკავშირო ველორბოლის შემდეგ გაირკვა იმ 9 კანდიდატის ვინაობა, რომლებიც პოლონეთს გაემგზავრებიან. ისინი იქ მოემზადებიან პოპულარული ასპარეზობისთვის, რომელიც ამჯერად ფაშისტური გერმანიის განადგურების 25 წლისთავს ეძღვნება. მათ რიცხვში შევიდნენ გ. საიდხუჟინი (სოჭი), ვ. სოკოლოვი (ომსკი), ი. მიხაილოვი (იაროსლავლი), რ. კალნენიექსი (რიგა), ი. დმიტრიევი (მოსკოვი), ახალგაზრდა მრბოლელები ა. გუსიატნიკოვი (კუიბიშევი), ვ. ბელოუსოვი (ციმლიანსკი), ვ. კუხარსკი (ალმა-ათა) და პ. ჯარცანსი (რიგა).

ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია ა. ჩერეპოვიჩი, რომელიც ბევრჯერ გამოსულა მშვიდობის ველორბოლაში. დასკვნითი საწვრთნელი მეცადინეობების შემდეგ სწორედ მან უნდა დაადგინოს საბჭოთა გუნდის 7 მთავარი წევრის ვინაობა.

(საქინფორმი).

## 16 ფინალისტის საქმენი

— 20 4/5

◆ რიო-დე-ჟანეირო, 11 აპრილი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე ერთი თვით ადრე — 1 მაისს გაემგზავრება. გამგზავრების თარიღი იმის გამო შეიცვალა, რომ ბრაზილიელებმა 29 აპრილს ამხანაგურ მატჩში უნდა უმასპინძლონ ავსტრიის გუნდს. ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახლა კიდევ ერთი საწვრთნელი თამაშის მოწყობაზე აწარმოებენ მოლაპარაკებას. საქმე ეხება მიუნხენის „ბაიერნს", რომელიც ბრაზილიაში აპრილის მიწურულს ჩამოვა. ხვალ კი „მარაკანას" სტადიონზე ბრაზილიელები ამხანაგურ მატჩს გამართავენ პარაგვაის ნაკრებთან.

◆ სან-სალვადორი, 11 აპრილი. მსოფლიო ჩემპიონატის I ჯგუფის ერთ-ერთი ბინადარი — სალვადორის ფეხბურთელთა ნაკრები მექსიკური ფინალის დაწყებამდე დაახლოებით თვენახევრით ადრე გამოეთხოვა თავის მწვრთნელს, არგენტინელ გ. ბუნდიოს, რომლის ადგილსაც სალვადორის ჩემპიონის „ატლეტიკო მარტეს" ხელმძღვანელი, ჩილიელი გ. ვინანცო დაიკავებს. ეს ცნობილი გახდა ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის სხდომის შემდეგ. თუმცა ამ ცვლილების თაობაზე ოფიციალურად სიტყვა არ თქმულა, მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ბუნდიოს გადაყენება ჯამაგირის მომატების მის ამასწინანდელ მოთხოვნასთანაა დაკავშირებული.




## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე „ა" კლასის I ჯგუფის საკავშირო პირველობის პირველ მატჩში თბილისის „ლოკომოტივი" სვერდლოვსკის „ურალმაშს" მასპინძლობდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

## მწყემსთა ქოხებში

სოხუმი (დეპეშით). ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობმა ტურისტებმა ტ. ჟენიამ, ნ. ავიძბამ, ს. ნაჭყებიამ, ნ. ლაკობამ, ა. ტანიამ, ლ. ვანაჩანმა, ო. ლაგვილავამ და სხვებმა ვიმპელი და დროშა აიტანეს ალპურ ზონაში. მწყემსთა ქოხებში მათ ლენინის კუთხე მოაწყვეს და ეს ლაშქრობა დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავს უძღვნეს.

ნ. მიქაშავიძე,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.

## „ფახთაქორის" კორტებზე

ტაშკენტი, 10 აპრილი. სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა საგაზაფხულო ტურნირში, რომელსაც ადგილობრივი „ფახთაქორის" სტადიონის ღია კორტები მასპინძლობდა, ს. ლიხაჩოვ — ა. ვოლკოვის წყვილი მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენ მეტოქეებზე. გადამწყვეტ შეხვედრაში ამ დუეტმა, მართალია, პირველი პარტია წააგო (4:6) თ. ლეიუს — ვ. ლამპის წყვილთან, მაგრამ მომდევნო სამ ხელში თავისი სრული უპირატესობა დაამტკიცა — 6:1, 6:0, 6:3.

ლეიუსი ახლა საუცხოო ფორმაშია. მან და ა. ვოლკოვმა თავიანთ ქვეჯგუფებში I ადგილები დაიკავეს — ყველა, 7-7 შეხვედრა მოიგეს. ფინალში ლეიუსმა აჯობა ვოლკოვს — 6:2, 6:1, 6:2.

ქალთა წყვილების თანრიგში საუკეთესონი იყვნენ ო. მოროზოვა და ტ. პარმასი. მათ დაამარცხეს რ. ისლანოვა და მ. კული — 8:6, 6:4.

ტურნირის სიურპრიზად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის მეოცე ჩოგბურთელის შ. ტარპიშჩევის წარმატება, რომელმაც ქვეჯგუფში ლიხაჩოვსა და ივანოვს სძლია და III ადგილისთვის ბრძოლაში ჩაება. აქ მას მოულოდნელი მეტოქე — ქვეყნის მეათე ჩოგანი, სოჭელი პესჩანკო შეხვდა და გაიმარჯვა კიდეც.

# მეკარე რომ არა...

„ა" კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მესამე ტურში თბილისის „ლოკომოტივის" სპორტსმენები კიევის „ბურევესტნიკს" შეხვდნენ.

რკინიგზელები პირველ ორ ტურში წაგების შემდეგ ბუნებრივია შეეცდებოდნენ შელახული ავტორიტეტის აღდგენას. მათ თამაში მაღალ ტემპში დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე მარგიევმა ლამაზი გოლი გაიტანა. მალე მანვე მეორე ბურთი გაგზავნა კიეველთა კარში.

აღსანიშნავია ბაქოელი ვ. მასლოვსკის კარგი მსაჯობა. მან სწორად წარმართა თამაში — საფუძველშივე აღკვეთა მოთამაშეთა უხეშობა. ორივე გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ ხშირად უშვებდა ტაქტიკურ შეცდომებს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მეტოქეებმა 17-ჯერ ტყორცნეს კარში და ყველა ნასროლმა მიზანს მიაღწია. საბოლოოდ, მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 9:8.

შემდეგ სათამაშოდ გამოვიდნენ თბილისის „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის ოლქის „დინამოს" გუნდები.

„ა" კლასის დებიუტანტებმა მძლავრი მეტოქის — დინამოელთა წინააღმდეგ სწორი ტაქტიკური სქემა აირჩიეს: პრესინგი მთელ „მოედანზე". განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ სტუმრებმა აიყვანეს როდინი და მეტრეველი, რომლებიც ზუსტი ტყორცნებით გამოირჩევიან.

თბილისელებმა ვერ გამოძებნეს მეტოქის კარის აღების ეფექტური საშუალებები, ნერვიულობდნენ და ხშირად კარგავდნენ ბურთს. მათ სამჯერ ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობაც.

თბილისელთა მეკარე მალანიას ბრწყინვალე თამაში რომ არა, მასპინძლები უფრო დიდი ანგარიშით წააგებდნენ.

გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:3.

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს კი ტურნირი განახლდება.

ვ. ბარნაბიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვის ოლქი) | 3 | 3 | 0 | 0 | 10—5 | 6 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 3 | 3 | 0 | 0 | 15—12 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) | 3 | 2 | 0 | 1 | 14—13 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (მინსკი) | 3 | 1 | 1 | 1 | 9—8 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 3 | 1 | 1 | 1 | 11—11 | 3 |
| „დინამო" (ლვოვი) | 3 | 1 | 0 | 2 | 15—11 | 2 |
| „დინამო" (ხარკოვი) | 3 | 1 | 0 | 2 | 11—11 | 2 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 3 | 1 | 0 | 2 | 15—17 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (კიევი) | 3 | 1 | 0 | 2 | 15—22 | 2 |
| „სპარტაკი" (ასტრახანი) | 3 | 0 | 0 | 3 | 6—11 | 0 |



ლ. ზინკოვა მხატვრული ტანვარჯიშის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატია ჩვენში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა ამასწინანდელ რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაშიც III ადგილი დაიკავა.

სურათზე: ლ. ზინკოვა ასპარეზობისას.

ფოტო ვ. ბუკინისა.

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

# დასვენების წუთი იშვიათია

მილინება მთავრდებოდა, თელავის მილიციის განყოფილების გამომძიებელი ვასილ ფეტვიაშვილი კი ვერა და ვერ დავიჭირე. მაგრამ ნათქვამია, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. საბაუბროდ სულ ნახევარი საათი გვქონდა, მაგრამ გამომძიებლისგან ბევრი საინტერესო რამ შევიტყვე.

სპორტის სამყაროში ვასილ ფეტვიაშვილმა პირველად მაშინ შედგა ფეხი, როცა სულ თხუთმეტი წლისა იყო. მის მშობლიურ სოფელ ფშაველში მოზრდილ მოჭიდავეთა შეჯიბრება ტარდებოდა. რასაკვირველია, მერე პატარა ბიჭებმაც მოსინჯეს მკლავისა და მუხლის ძალა. ვასილმა გამარჯვება ვერ მოიპოვა, მაგრამ ამით გული არ გასტეხია, თავის ტოლ ბიჭებს მოუყარა თავი და მათთან ჭიდაობდა.

17 წლისამ უკვე ნამდვილი შეჯიბრება მოიგო: რაიონის პირველობაში გაიმარჯვა და ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში. ასე გაიხსნა მის წინ დიდი სპორტის კარი. შემდეგ რაიონის ჩემპიონზე წვრთნის გაგრძელება თბილისში გადაწყვიტა. ფიზკულტურის ინსტიტუტში ადვილად მოხვდა, რადგან სკოლა ფრიადზე ჰქონდა დამთავრებული. შრომისმოყვარეობამ და გულმოდგინე ვარჯიშმა ნაყოფიც სასურველი გამოიღო. ფეტვიაშვილმა ბევრი გამარჯვება იზეიმა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. 1962 წლიდან 1967 წლამდე იგი ჭიდაობის სამ სახეობაში (ქართული, სამბო, თავისუფალი) იყო საქართველოს ჩემპიონი.

ფეტვიაშვილი სამგზის სპორტის ოსტატია! ეს წოდება მას 1960 წელს თავისუფალ ჭიდაობაში მიანიჭეს, 1962 წელს — სამბოში და 1965 წელს — ქართულ ჭიდაობაში.

ვასილ ფეტვიაშვილი სწავლაშიც მოწინავე იყო. მან ფრიადზე დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი და 1963 წელს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

1967 წელს ვ. ფეტვიაშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და სამუშაოდ მშობლიურ თელავში გაგზავნეს. ახლა იგი გამომძიებელია. მკითხველს არ სჭირდება ახსნა, რამდენად საპასუხისმგებლოა ეს საქმე. კიდევ ერთხელ ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი მთელს ენერგიას, ცოდნას, გულით მუშაობას მოითხოვს.

... სოფელ ფშაველში ერთი მოსახლე გაქურდეს. ქურდმა იცოდა, რომ ოჯახის პატრონები შინ არ იყვნენ, მშვიდად დატვირთა მანქანა მათი ავეჯით და გასწია. ვასილ ფეტვიაშვილმა სამი ღამე თეთრად გაათენა. სამაგიეროდ, დამნაშავე — გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის მკვიდრი ნ. ზიოშვილი — დააკავეს.

სოფელ აკურაში ორი კაცი წაიკიდა. ს. ლუცუბიძე და ზ. ხატიაშვილი ერთმანეთს აშკარად არ დაინდობდნენ. დანით შეიარაღებულ ლუცუბიძეს ხხვა ვერავინ მიუახლოვდა, ისევ გამომძიებელი ჩაება ორ კაცთან ბრძოლაში. ხულიგნები დააპატიმრეს. ხატიაშვილს ერთი წლით აღუკვეთეს თავისუფლება, ლუცუბიძეს — სამი წლით.

აქვე უნდა გამოვთქვათ ერთი გულისტკივილიც: ამ ჩხუბს, რომელსაც შეიძლებოდა ადამიანის სიცოცხლე შესწირვოდა, გულგრილად უყურებდნენ იქვე თავშეყრილი სოფლელები. მათ შორის ალბათ ბევრი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა და სპორტსმენიც იყო, მაგრამ გამომძიებლის გამოჩენამდე ხულიგნების ალაგმვა ვერავინ გაბედა.

მართლაც ძნელი სამუშაო აქვს ვასილ ფეტვიაშვილს. მან ხომ კანონის სიმტკიცეც უნდა დაიცვას და ადამიანის ღირსებაც. დასვენების წუთი იშვიათია. ამ წუთებს ვასილი ან თავის 8 წლის გოგონასთან იასთან ატარებს ან სპორტდარბაზში მიიჩქარის. ნამდვილ სპორტსმენს ჭიდაობა არც ახლა ავიწყდება.

ვ. გუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.



სურათზე: ვ. ფეტვიაშვილი მოჭიდავეთა წრეში.
ფოტო ავტორისა.

# მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდები

ცურვა

1970 წლის 10 აპრილისთვის

## ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 58,9 | დ. ფრეზერი (ავსტრალია) | 1964 |
| | 59,6 | გ. ვეცკო (გდრ) | 1969 |
| | 1.01,8 | ლ. გრებეცი (პოლტავა) | 1967 |
| 200 მ | 2.06,7 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| | 2.08,9 | გ. ვეცკო (გდრ) | 1969 |
| | 2.17,7 | ნ. სუხოვცევა (მოსკოვი) | 1969 |
| 400 მ | 4.24,5 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| | 4.36,1 | გ. ვეცკო (გდრ) | 1969 |
| | 4.49,6 | ტ. სოსნოვა (მოსკოვი) | 1967 |
| 800 მ | 9.10,4 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| | 9.30,8 | კ. ნოიგებაუერი (გდრ) | 1969 |
| | 10.02,0 | ტ. სოსნოვა (მოსკოვი) | 1967 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.14,2 | კ. ბოლი (აშშ) | 1968 |
| | 1.15,4 | გ. პროზუმენშჩიკოვა (სსრკ) | 1968 |
| | 1.15,4 | გ. პროზუმენშჩიკოვა (მოსკოვი) | 1968 |
| 200 მ | 2.38,5 | კ. ბოლი (აშშ) | 1968 |
| | 2.40,8 | გ. პროზუმენშჩიკოვა (სსრკ) | 1966 |
| | 2.40,8 | გ. პროზუმენშჩიკოვა (მოსკოვი) | 1966 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 1.04,5 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1965 |
| | 1.04,5 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1965 |
| | 1.06,8 | ტ. დევიატოვა (ხარკოვი) | 1967 |
| 200 მ | 2.21,0 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1967 |
| | 2.21,0 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1967 |
| | 2.28,8 | ტ. დევიატოვა (ხარკოვი) | 1968 |
| **გულაღმა** | | | |
| 100 მ | 1.05,6 | კ. მიური (სამხ. აფრიკის რესპ.) | 1969 |
| | 1.07,9 | კ. კარონი (საფრანგეთი) | 1964 |
| | 1.08,2 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი) | 1963 |
| 200 მ | 2.21,5 | ს. ეთვუდი (აშშ) | 1969 |
| | 2.27,9 | კ. კარონი (საფრანგეთი) | 1964 |
| | 2.29,8 | ტ. საველიევა (ლენინგრადი) | 1968 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.23,5 | კ. კოლბი (აშშ) | 1968 |
| | 2.27,5 | მ. გრუნერტი (გდრ) | 1969 |
| | 2.30,1 | ლ. ზახაროვა (ხარკოვი) | 1968 |
| 400 მ | 5.04,7 | კ. კოლბი (აშშ) | 1968 |
| | 5.14,9 | ს. შტაინბახი (გდრ) | 1968 |
| | 5.20,6 | ლ. მილენინა (ვოროშილოვგრადი) | 1969 |

## ვაჟები

| | | | |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 52,2 | მ. უენდენი (ავსტრალია) | 1968 |
| | 52,9 | ა. გოტვალესი (საფრანგეთი) | 1964 |
| | 53,2 | ლ. ილიჩოვი (მოსკოვი) | 1967 |
| 200 მ | 1.54,3 | დ. შოლანდერი (აშშ) | 1968 |
| | 1.56,5 | გ. ფასნაჰტი (გფრ) | 1969 |
| | 1.56,9 | ლ. ილიჩოვი (მოსკოვი) | 1968 |
| 400 მ | 4.04.0 | გ. ფასნაჰტი (გფრ) | 1969 |
| | 4.04,0 | გ. ფასნაჰტი (გფრ) | 1969 |
| | 4.11,0 | ს. ბელიც-გეიმანი (მოსკოვი) | 1967 |
| 1500 მ | 16.04,5 | მ. ბარტონი (აშშ) | 1969 |
| | 16.32,1 | გ. ფასნაჰტი (გფრ) | 1969 |
| | 16.50,7 | ს. ბელიც-გეიმანი (მოსკოვი) | 1969 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.05,8 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1.05,8 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1.05,8 | ნ. პანკინი (მოსკოვი) | 1969 |
| 200 მ | 2.25,4 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 2.25,4 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 2.25,4 | ნ. პანკინი (მოსკოვი) | 1969 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 55,6 | მ. სპიტცი (აშშ) | 1968 |
| | 57,8 | ვ. ნემშილოვი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 57,8 | ვ. ნემშილოვი (სოჭი) | 1969 |
| 200 მ | 2.05,7 | მ. სპიტცი (აშშ) | 1967 |
| | 2.07.8 | მ. ვუდროფი (ინგლისი) | 1969 |
| | 2.08,3 | ვ. შარიგინი (მოსკოვი) | 1969 |
| **გულაღმა** | | | |
| 100 მ | 57,8 | რ. მათესი (გდრ) | 1969 |
| | 57,8 | რ. მათესი (გდრ) | 1969 |
| | 1.00,0 | ვ. მაზანოვი (მოსკოვი) | 1966 |
| 200 მ | 2.06,4 | რ. მათესი (გდრ) | 1969 |
| | 2.06,4 | რ. მათესი (გდრ) | 1969 |
| | 2.11,8 | ვ. მაზანოვი (მოსკოვი) | 1966 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.09,6 | გ. ჰოლი (აშშ) | 1969 |
| | 2.13,5 | ფ. ვიგანდი (გდრ) | 1967 |
| | 2.14,0 | ვ. კრავჩენკო (მოსკოვი) | 1969 |
| 400 მ | 4.33,9 | გ. ჰოლი (აშშ) | 1969 |
| | 4.42,5 | გ. ფასნაჰტი (გფრ) | 1969 |
| | 4.45,3 | ა. დუნაევი (მოსკოვი) | 1968 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილი არ არის მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რამდენიმე რეკორდი, რომლებიც წლეულს დამყარდა და შესაბამის ფედერაციებს ჯერ არ დაუმტკიცებიათ.

ისევ ფარიკაობის შესახებ

# რალას უცდიან?..

ცნობილია, რომ ასაკი ფარიკაობაში პირობითი ცნებაა. მართლაც, საკმარისია თვალი გადავავლოთ მსოფლიოს უძლიერეს მოფარიკავეთა სიას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ სპორტს „ყველა ასაკი ემონება". ჩვენი დროის სახელმოხვეჭილ მოფარიკავეთა ერთმა ნაწილმა ოსტატობის მწვერვალებს ხანდაზმულ ასაკში მიაღწია. გავიხსენოთ უნგრელები კარპატი, გერევიჩი, კოვაჩი, საბჭოთა მოფარიკავეები რილსკი, მიდლერი, პოლონელი პავლოვსკი და სხვები, რომლებმაც განუმეორებელი ფურცლები ჩაწერეს ფარიკაობის ისტორიაში.

ყოველივე ეს როდი ნიშნავს, თითქოს მოფარიკავეთა დაოსტატების ხანა გვიან ასაკში უნდა დაიწყოს. სრულიადაც არა. ფარიკაობა არის და კვლავაც უნდა იყოს ნორჩების სპორტი. ამას ადასტურებს ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ თითქმის ყველა ცნობილმა საბჭოთა და უცხოელმა მოფარიკავემ ამ სახეობაში ვარჯიში ადრეული ასაკიდან დაიწყო. დავასახელოთ, მაგალითად, ფარიკაობის აღიარებული ოსტატები ჟდანოვიჩი, მელნიკოვი, კრისი, პუტიატინი, ნოვიკოვა, სვეშნიკოვი, ნიკანჩიკოვი, ზაბელინა, ცირეკიძე, ოსიპოვი, ასათიანი, კოსტავა, ფრანგები მანიანი და დორიოლა, უნგრელი პეჟა და ბევრი სხვა. ამ სპორტსმენებს თავის დროზე ხშირად გაუმარჯვნიათ ბავშვთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებში.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოფარიკავენი უმაღლეს სპორტულ მაჩვენებლებს აღწევენ მეცადინეობის დაწყებიდან 8-10 წლის შემდეგ. ასევე ნათელია, რომ სპორტსმენთა უმრავლესობა უმეტეს შემთხვევაში ოპტიმალურ შედეგებს 8-10 წლის მანძილზე უჩვენებს (იმ უცილობელი პირობით, თუ ისინი სრულყოფილად არიან დაუფლებული ფარიკაობას).

ვიმეორებ, ფარიკაობა განეკუთვნება სპორტის ზედმიწევნით რთულ სახეობათა რიცხვს, რომლის სრულყოფილად დაუფლებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. საამისოდ მიზანშეწონილია მომავალმა მოფარიკავემ ვარჯიში 8-10 წლის ასაკიდან დაიწყოს იმ ვარაუდით, რომ 18 წლის ასაკში მაღალ შედეგებს მიაღწიოს. ფაქტიურად, სწორედ ამ ასაკიდან იწყება დიდი სპორტსმენების აყვავების ხანა, რაც საშუალოდ 10 წელიწადს გრძელდება. ამ ხნის მანძილზე სპორტსმენს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირში, ვთქვათ, ორ ოლიმპიადაში. ეს აზრი ბევრჯერ დადასტურებულა. ვფიქრობთ, სწორედ ეს პრინციპი უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი ბავშვთა საფარიკაო სკოლების საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისთვის.

მოდით, ამ კუთხით შევხედოთ ბავშვთა ფარიკაობის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში, ვიდრე უშუალოდ ამ საჭირბოროტო საკითხს შევეხებოდე, მინდა შევახსენოთ „ლელოს" ფურცლებზე ამას წინათ გამართული დისკუსია ქართული ფარიკაობის პრობლემებზე. რატომღაც ამ დისკუსიის მონაწილეებს ეს მტკივნეული საკითხი გამორჩათ. შესაძლოა ისინი ხელმძღვანელობდნენ იმ მოსაზრებით, რომ ბავშვთა ფარიკაობაში ყველაფერი რიგზეა.

მართლაც ასეა თუ არა? ერთი წუთით დავივიწყოთ, რომ ჩვენმა ბავშვებმა და იუნიორებმა შარშანდელ სეზონში საკავშირო სარბიელზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. ეს ფაქტი მხოლოდ კმაყოფილებას ჰგვრის ფარიკაობის გულშემატკივრებს. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ბოლო ათი წლის (!) მანძილზე ჩვენი იუნიორებიდან რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრებ გუნდში არც ერთი მოფარიკავე არ მოსულა. ეს საგანგაშო ამბავია და ამ დროს თვალის დახუჭვა, რბილად რომ ვთქვათ, მიუტევებელია.

რატომ მოხდა ასე? დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოში, ფაქტიურად, ბავშვთა ფარიკაობის ერთადერთი სრულფასოვანი სექცია არსებობს (თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა კომპლექსურ სპორტულ სკოლასთან). ეს სექცია აერთიანებს ნორჩ მოფარიკავეთა ათ ჯგუფს. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჯგუფების რაოდენობა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე არ გაზრდილა. მდგომარეობას ვერ ცვლის ისიც, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და ამა თუ იმ სპორტსაზოგადოებაში ნორჩ მოფარიკავეთა თითოოროლა ჯგუფი არსებობს, რომლებიც ჟამიდან ჟამამდე მოქმედებენ.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჯანსაღ სპორტულ კონკურენციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომაც მთელს ჩვენს იმედებს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის ფარიკაობის სექციაზე ვამყარებთ. დაგვეთანხმებით, ეს სრულიადაც არ გახლავთ გამოსავალი სავალალო მდგომარეობიდან.

გასაკვირი არაა, რომ ნორჩი თბილისელი მოფარიკავეები უფერულად გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებში. აი, ერთი ტიპიური მაგალითიც: ახლახან ოდესაში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა აშკარად შეუფერებელი X ადგილი დაიკავა, ხოლო პირად პირველობაში ვერც ერთმა ქართველმა მოფარიკავემ ვერ გაიკვლია გზა ფინალისკენ.

არც ის არის საიდუმლო, რომ ბავშვებთან მუშაობა ყოველგვარი გეგმაზომიერების გარეშე, უფრო მეტიც, სტიქიურად მიმდინარეობს. არ ხდება სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტება-შერჩევა რაიმე გამიზნული საკონტროლო ვარჯიშებისა და ნორმატივების მიხედვით. არც მოფარიკავეთა ასაკობრივი ჯგუფებისა და ფარიკაობის სახეობათა შემდგომ სპეციალიზაციას ექცევა სერიოზული ყურადღება. ამიტომაც არის, რომ საკავშირო შეჯიბრებებში ფარიკაობის ამა თუ იმ სახეობისა და განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგებს უჩვენებენ. თუ ერთნი საპრიზო ადგილებს იკავებენ, მეორენი ათეულშიც კი ვერ ახერხებენ მოხვედრას. ეს კი უარყოფითად მოქმედებს საერთო გუნდურ შედეგზე.

როგორც ხედავთ, მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, ჩვენი მოფარიკავე ბავშვებისა და იუნიორების წვრთნისა და დაოსტატების საქმე საკმაოდ დაბალ დონეზე დგას.

რა არის საჭირო არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად? ჩვენი აზრით, უახლოეს დროში აუცილებლად უნდა შეიქმნას ბავშვთა რამდენიმე სპეციალიზებული საფარიკაო სპორტული სკოლა, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სათანადო ბაზებითა და ინვენტარით. მით უმეტეს, რომ ეს პრობლემა კარგა ხანია დადებითად გადაწყდა სხვა რესპუბლიკებში, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო.

ფარიკაობის მომავალზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ. ფარიკაობა ბავშვთა სპორტია და თუ ეს ჭეშმარიტებაა, რალას უცდიან ისინი, ვისაც ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე ეხება?

ტ. მესხი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

**1970 ფეხბურთი**

# კენჭისყრა და ზოგიერთი შესწორება

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში ჩატარდა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი ეტაპის კენჭისყრა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისთვის. 23 აპრილს გაიმართება შემდეგი შეხვედრები: „ხტროიტელი“ (აშხაბადი) — „ყაირათი“ (ალმა-ათა), „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პამირი“ (დუშანბე), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა).

მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრის თარიღი მოგვიანებით გაირკვევა.

მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

იმის გამო, რომ 23 აპრილს თამაშობენ სსრ კავშირისა და პოლონეთის კლუბების ნაკრები გუნდები, კალენდარული შეხვედრა ცსკა-სა და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ შორის შედგება 27 აპრილს.

# ვეტერანის თასზე

გრძელდება შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

პირველ ქვეჯგუფში რუსთავის „მეტალურგმა“ მოუგო ტყიბულის „მეშახტეს“ — 2:1, თელავის „კახეთმა“ და ცხინვალის „სპარტაკმა“ კი ფრედ ითამაშეს — 0:0. აქ წინაა „მეტალურგი“, რომელსაც 9 ქულა აქვს. „მეშახტე“ 7 ქულით II ადგილზეა, მაგრამ მას ერთი მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშევი.

მეორე ქვეჯგუფში ერთნაირი ანგარიშით (1:0) დამთავრდა ორი შეხვედრა: ლანჩხუთის „გურიამ“ მოუგო ფოთის „კოლხეთს“, ხოლო სოხუმის „დინამომ“ — ვანის „სულორს“. 8 ქულით ლიდერობს „გურია“. მას 1 ქულით ჩამორჩება „კოლხეთი“.

# საქართველოს ჩემპიონატი

9 აპრილს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 0:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „სინათლე“ (თბილისი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

მოხდა ისე, რომ მე-11 წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა ზუგდიდელთა კარში და დევდარიანმა ანგარიში გახსნა. შემდგომში ლორიამ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი, „ენგურმა“ კი მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „სქური“ (წალენჯიხა) — „ისანი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

ტაიმი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა მასპინძელთა სასარგებლოდ — 1:0. შესვენების შემდეგ თბილისელები დიდხანს და სახიფათოდ უტევდნენ. „სქურის“ კართან ბევრი კრიტიკული მომენტი შეიქმნა, მაგრამ გუნდმა შეძლო ყველა ხიფათის მოგერიება.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მზიური“ (გალი) 2:2. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „მშენებელი“ (ბორჯომი) 2:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

მასპინძლებს მთელი ტაიმის მანძილზე ჰქონდათ უპირატესობა, თუმცა გოლის გატანა მათ მხოლოდ ბოლო წუთებში შეძლეს: კუთხურიდან მოწოდებული ბურთი მოხვდა ძელს, შემდეგ მეკარეს და აღმოჩნდა... ბადეში. განახლდა თუ არა შესვენების შემდეგ თამაში, ჩიხრაძემ კიდევ ერთხელ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. დისციპლინის დარღვევისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ბორჯომელი პეტროსიანი და გარდაბნელი ლორთქიფანიძე.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

მეტალურგებმა თავიდანვე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას. მე-19 წუთზე კიკნაველიძისა და სხილაძის მიერ მარცხენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ბურთი „მესხეთის“ კარში აღმოჩნდა. ზესტაფონელი ფეხბურთელები სულ უფრო აძლიერებდნენ იერიშს, მასში მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც, და მალე გლონიანოვმა ანგარიში 2:0-მდე გაზარდა. გავიდა ცოტა ხანი და კაპანაძემ თავისი გუნდის კიდევ ერთი იერიში დაამთავრა გოლით — 3:0. როცა მატჩის დასასრულს 5 წუთი აკლდა, სტუმრებმა შეძლეს თავი დაეღწიათ „მშრალი“ ანგარიშით წაგებისთვის.

● „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

მატჩის ბედი გადაწყვიტა ტუხაშვილის ერთადერთმა ბურთმა. სამტრედიელები მეორე ტაიმში ბევრს ეცადნენ თუნდაც გაექვითათ ანგარიში, მაგრამ სიღნაღელები მედგრად იბრძოდნენ მიღწეულის შესანარჩუნებლად.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამცხე“ (აწყური) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 12 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 7 | 6 | 1 | 0 | 18—5 | 13 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 7 | 5 | 0 | 2 | 8—5 | 10 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 7 | 4 | 1 | 2 | 9—6 | 9 |
| „მზიური“ (გალი) | 6 | 2 | 4 | 0 | 8—4 | 8 |
| „ისანი“ (თბილისი) | 6 | 3 | 2 | 1 | 4—1 | 8 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 7 | 2 | 4 | 1 | 7—5 | 8 |
| „სამცხე“ (აწყური) | 7 | 3 | 2 | 2 | 4—5 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 7 | 2 | 3 | 2 | 9—6 | 7 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—4 | 7 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 6 | 2 | 3 | 1 | 5—5 | 7 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 6 | 2 | 2 | 2 | 7—6 | 6 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—7 | 6 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 6 | 1 | 3 | 2 | 7—6 | 5 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 5 | 2 | 1 | 2 | 7—8 | 5 |
| ასკ (თბილისი) | 6 | 2 | 1 | 3 | 4—5 | 5 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 6 | 1 | 3 | 2 | 3—4 | 5 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 5 | 0 | 4 | 1 | 3—4 | 4 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 5 | 2 | 0 | 3 | 3—7 | 4 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 7 | 0 | 4 | 3 | 4—11 | 4 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 6 | 1 | 1 | 4 | 3—11 | 3 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 5 | 0 | 2 | 3 | 3—5 | 2 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 6 | 1 | 0 | 5 | 5—13 | 2 |

# მხოლოდ თბილისელები...

თანამედროვე ხუთჭიდის ყველა სახეობა ერთნაირად რთულია, მაგრამ აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ ხუთჭიდელს, მაინც რომელი სახეობაა მისთვის ყველაზე „ჭირვეული“ და უყოყმანოდ მიიღებთ პასუხს: ცხენი. ხუთჭიდელთა ენაზე ეს ცხენოსნობას ნიშნავს.

მართლაც, ცხენოსნობა საერთოდ სპორტის ერთ-ერთი რთული სახეობაა და, ცხადია, ეს ხუთჭიდზეც ვრცელდება. თუ სხვა სახეობებში წარმატების მოპოვება უშუალოდ სპორტსმენზეა დამოკიდებული, აქ საქმეში ერევა ისეთი „პარტნიორი“, რომელსაც მუდამ როდი სჯერა შენი.

ალბათ ამ მიზეზით დიდხანს არ დაავიწყდება ეს შეჯიბრება ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს ა. შეროზიას („ბურევესტნიკი“). იგი ყველა სახეობაში დამაჯერებლად ასპარეზობდა და კვალში ედგა საქართველოს თასის გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ვ. მაროტის („დინამო“).

მაგრამ აი, დადგა თასის გათამაშების ბოლო დღე, შეროზია ამხედრდა ცხენზე და გამოზომილად იწყო დაბრკოლებათა დაძლევა. ერთხანს ყველაფერი კარგად იყო, მერე კი, ერთ-ერთი წინაღობის დაძლევისას მას ცხენი გაუჯიუტდა, აღარ დაემორჩილა და მხედარი საასპარეზო მოედანს იქით გაიტაცა. სამწუხაროდ, შეროზიამ ცხენოსნობაში ჩათვლა ვერ მიიღო და, რა თქმა უნდა, ლიდერთა ჯგუფს ჩამოსცილდა.

ამის შემდეგ IV ადგილზე მყოფ ნ. ჯავახიშვილს („სპარტაკი“) საპრიზო ადგილზე გასვლის რეალური შანსები გაუჩნდა. მაგრამ არც ამ ნიჭიერ ხუთჭიდელს გაუჭრა იღბალმა, თუმცა, სპეციალისტთა საერთო აღიარებით, იგი საუცხოო მხედარია. ამ დღეს მას პირდაპირ ვერ იცნობდით. იგი მეტისმეტად ფრთხილად, გაუბედავად ასპარეზობდა, რაც შესაბამისად აისახა საბოლოო შედეგში. მართალია, კენჭისყრამ ჯავახიშვილს „ცუდი“ ცხენი შეახვედრა, მაგრამ სპორტსმენი ამან არ უნდა შეაკრთოს. პირიქით, ამ დროს მას მეტი შემართება და ნებისყოფა მართებს. სამწუხაროდ, ჯავახიშვილმა ვერ გამოავლინა ეს თვისებები, რის გამოც მისთვის აშკარად შეუფერებელ შედეგს მიაღწია და საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი დაკარგა.

შექმნილ სიტუაციაში მაროტიმ საკმაოდ მშვიდად, აუღელვებლად დაამთავრა თბილისის იპოდრომზე გამართული შეჯიბრება და 4766 ქულით თასიც მას დარჩა. კაცმა რომ თქვას, მაროტის გამარჯვება არავის გაკვირვებია. იგი გამოცდილი სპორტსმენია, ხშირად მონაწილეობს დიდ შეჯიბრებებში და სამართლიანად ითვლება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს ხუთჭიდელად. მაროტი მომავალი პედაგოგი გახლავთ: წლეულს ამთავრებს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს. II ადგილზე გავიდა ვ. გავრინი („ბურევესტნიკი“) — 4503 ქულა, ხოლო III — დინამოელი ნ. ქაჯაია — 4463.

საქართველოს თასის გათამაშება პირველად გაიმართა. უწინ ეწყობოდა ანალოგიური შეჯიბრება, რომელსაც უძლიერეს ხუთჭიდელთა ტურნირი ერქვა. როგორც ხედავთ, ასპარეზობის ფორმულა პრინციპულად არ შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მისი სახელწოდება.

რით განსხვავდება თასის გათამაშება წინა წლების ანალოგიური შეჯიბრებებისგან? უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გაიზარდა მონაწილეთა რიცხვი, თანაც, 30 ხუთჭიდელიდან, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ თასს, 20 მონაწილე ჭაბუკი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტის ამ სახეობაში საიმედო ცვლა გვეზრდება. შეჯიბრება ერთობ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, თუმცა სარბიელზე ვერ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი ხუთჭიდელები პ. რუბეჟანსკი და ვ. კალინინი (ისინი მიწვეული იყვნენ სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში).

სამწუხაროდ, თასს მხოლოდ თბილისელები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ცხადია: ხუთჭიდი ყურადღებით არ სარგებლობს საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.





სურათებზე: მარცხნივ — შეჯიბრების მომენტი; მარჯვნივ — საქართველოს თასის გათამაშებაში გამარჯვებული ვ. მაროტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

# რესპუბლიკურ ფედერაციაში

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები ი. კუსიდი და ნ. შავიშვილი (ორივე — ბათუმი) გაუმართლებელი მიზეზით არ ჩავიდნენ სოხუმსა და ოჩამჩირეში შ. შავგულიძის სახელობის თასის მატჩების სამსაჯოდ.

მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმმა ი. კუსიდისა და ნ. შავიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

ამჟამად მიმდინარეობს „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც საკავშირო შეჯიბრების წინასწარ ეტაპს წარმოადგენს. ზედმეტია ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ასპარეზობას. ოსტატთა კოლექტივების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ნორჩ ფეხბურთელთა დაოსტატებას და სრულყოფას, მათი რიცხვიდან შემცვლელი თაობის აღზრდას.

მაგრამ ყველგან როდი ესმით მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირის დიდი მნიშვნელობა და ზოგიერთ შემთხვევაში საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ჭაბუკთა გუნდები არ ცხადდებიან კალენდარულ თამაშებზე.

საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით თუ არა, სხვა რით უნდა აიხსნას ის, რომ 22 მარტს ცხინვალის „სპარტაკი“ არ გამოცხადდა სათამაშოდ ტყიბულში, სოხუმის „დინამო“ 29 მარტს — თბილისში, გურჯაანის „ალაზანი“ 5 აპრილს — ვაგრაში, მახარაძის „მერცხალი“ — 7 აპრილს თბილისში.

იგივე ამბავი იყო, როცა ვანიდან გამოგზავნეს ცნობა, რომ იქაური „სულორი“ 9 მარტს ვერ გაემგზავრებოდა თელავში.

ზემოაღნიშნული გუნდების ხელმძღვანელები პასუხს აგებენ ამ შეუწყნარებელ ფაქტებზე, ხოლო ადგილობრივი ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები ვალდებული არიან სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

**გარდაბანი**

თბილსრესის ფიზკულტურელებმა ჩაატარეს შიდასაკოლექტივო ტურნირი ფეხბურთში, ხელბურთსა და ტყვიის სროლაში. ფეხბურთში გაიმარჯვა ცენტრალური სარემონტო საამქროს გუნდმა, ხელბურთსა და სროლაში კი თბოძალოვანი გამართვისა და გამოთვლის საამქროს კოლექტივმა.

ვ. ჯანეზაშვილი.

# სარბიელზე — სპარტაკელი ქალები

დამთავრდა სოხუმის „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს ქალთა III სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. საწარმოდაწესებულებებს შორის I ადგილი დაიკავა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა, საშუალო და სპეციალური სასწავლებლების კოლექტივებს შორის კი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის ნაკრები.

გ. ჟორდანია.

სოხუმი.

# პიონერთა პარკის ბილიკებზე

ბათუმის პიონერთა პარკში ჩატარდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. სარბიელზე გამოვიდნენ ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების გუნდები.

1000 მეტრზე მორბენალ გოგონებში ყველას აჯობა ზ. სანჟაპოკამ (ქობულეთი) — 3.55,4. ქალთა შეჯიბრება 2000 მეტრზე მოიგო ნ. ბაგრატიონმა (ბათუმი) — 9.07,0.

2000 მეტრზე ასპარეზობაში იუნიორთა შორის პირველი იყო გ. დავითაძე (შუახევი) — 7.05,0. ჭაბუკთა რბენა 3000 მეტრზე მოიგო ვ. ჯანაშიამ (ბათუმი)—11.11,2. 5-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი გახლდათ გ. აბდულ-ოღლი (ქობულეთი) — 18.22,0.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ბათუმის რაიონის ნაკრებმა. II ადგილზე არიან შუახევის, III — ქობულეთის რაიონის მძლეოსნები.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა მართლაც დიდია!

ტილოზე ლირისა და პალიტრის ფონზე ფეხბურთის სათამაშო ბურთია დახატული. უკვე ეს მიგვანიშნებს, რომ საღამო უჩვეულო იქნება. მართლაც, თბილისის პიონერთა სასახლის საქტო დარბაზში იმ დღეს ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილ მოღვაწეებს ნახავდით. მისასალმებელია კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობა, რომელმაც ამ ორი სხვადასხვა დარგის მუშაკებს მოუყარა თავი.

სცენაზე არიან უხუცესი ქართველი კინორეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საქართველოს სახალხო მხატვარი დ. თავაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი დ. თორაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ა. დვალიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები მ. ყვარელაშვილი, კ. მახარაძე, თ. მუშკუდიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. პატიაშვილი, თ. ჩაალიშვილი, რ. კაკაბაძე, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი გ. სამსონაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, მ. ჯუღელი, გ. ბაბილოძე, შ. გორგასლიძე, რ. შავლაყაძე და სხვ.

საღამო გახსნა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გოგიაშვილმა.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. სანაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ფიზკულტურამ და სპორტმა დიდი ხანია მკვიდრად მოიკიდა ფეხი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მოიყვანა ბევრი მაგალითი იმის დასადასტურებლად, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დიდი ადამიანების ცხოვრებაში ფიზიკური კულტურა.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. დვალიშვილმა ილაპარაკა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლებზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში. მან საგანგებოდ აღნიშნა ასეთი ერთობლივი ღონისძიებების სასარგებლო მნიშვნელობა.

მ. ჭიაურელმა თქვა, რომ სპორტი ეროვნული ღირსების საქმეა, რომ ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეთა შეხვედრები ხშირად უნდა ეწყობოდეს.

მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ნ. დუმბაძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ეს შეხვედრა ღირსსახსოვარი თარიღის — ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების პერიოდში მოეწყო. დღეს ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით სჭირდება ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები. ასეთი ადამიანის ჩამოყალიბებაში კი ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეთა ურთიერთთანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

— მწერლები და მხატვრები ასე თუ ისე უხდიან ხარკს სპორტსმენთა ცხოვრებას, კინომუშაკები კი დიდ ვალში არიან ჩვენს წინაშე, — თქვა დასასრულს დუმბაძემ.

დ. ანთაძემ სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ პიონერთა სასახლეში ბევრ სახელოვან ქართველ სპორტსმენს შეხვდა და ისურვა, რომ ეს შეხვედრები შემთხვევითი არ იყოს. მან მოიგონა 20-ანი წლები, როცა რუსთაველის თეატრში არსებობდა ფეხბურთის გუნდი „დურუჯი", რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი იყო რესპუბლიკაში.

ე. გოკიელმა მადლობა გადაუხადა კულტურის მუშაკთა პროფკავშირს ასეთი ღონისძიების მოწყობისთვის.

კ. მახარაძემ ილაპარაკა ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეთა მეგობრობაზე, სპორტული რეპორტაჟის თავისებურებებზე და ბევრი საინტერესო ფაქტი გაიხსენა თავისი ბიოგრაფიიდან.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ა. ცეხანელი.

# საკუთარ თავზე უძველესი

ახალი ამბავი

არის თუ არა ინდოეთი თანამედროვე ჭადრაკის სამშობლო? დღემდე ბევრს, ცნობილი ინგლისელი ჭადრაკის ისტორიკოსის ჰაროლდ მერეის მსგავსად, მიაჩნდა, რომ უძველესი თამაში პირველად ჩვენი წელთაღრიცხვის დაახლოებით 570 წელს გაჩნდა. მაგრამ ყაზახი მეცნიერების ბოლოდროინდელი აღმოჩენა ამ შეხედულებას ეჭვის ქვეშ აყენებს. ტალდი-ყორღანის ოლქის ალაკულის რაიონში, ჯუნგარის მთებში, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეპიგრაფიულმა ექსპედიციამ გრანიტის მთის მზიან მხარეს აღმოაჩინა 64-უჯრიანი ჭადრაკის ნახატი. მეცნიერთა აზრით, იგი სულ ცოტა, 3 ათასი წლის წინათაა დახატული, ჯერ კიდევ ძველსაქსურ პერიოდში. მისი ზომაა მეტრი მეტრზე.

— ეს აღმოჩენა აქ მცხოვრები ძველი ტომების მაღალ კულტურაზე მეტყველებს, — თქვა რესპუბლიკური აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. მუსაბაევმა.

— ეჭვი არ არის, რომ აღმოჩენილი „ჭადრაკი" ადგილობრივი წარმოშობისაა.

ამ ამბავთან დაკავშირებით წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ ოდესის მუზეუმში დაცული საჭადრაკო ფიგურის — მეომრის ნახატი (შესრულებულია ორი ათასი წლის წინათ) განასახიერებს ფიგურას, რომელიც ჰუნებმა შავიზღვისპირეთში მიიტანეს, და რომ ციმბირში ჭადრაკი უისუნის ტომების წყალობით გავრცელდა. ეს ტომები ალტაის და ტიან-შანის ბარში ცხოვრობდნენ.

ა. მუსტაფინი.

# დაწინაურდნენ გამოცდილები

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში კიდევ ორი ტური გათამაშდა. II ტურიდან ტურნირში მე-16 ნომრად ზ. შენგელია (თბილისი) ჩაირიცხა. გადადებული პარტიების დამთავრების დღეს იგი I ტურის გამოტოვებულ პარტიაში თ. კაჭარავას შეხვდა და დამარცხდა. გთავაზობთ გარჩეული ტურების შედეგებს:

II ტური. მ. სანაძე — ც. კახაბრიშვილი 0:1, ნ. ჩიქობავა — ც. კობაიძე 0:1, ნ. ხუბულური — თ. ხუგაშვილი 0,5:0,5, ც. სიორდია (ცხაკაია) — ლ. კოროშინაძე 0:1, თ. ჩხიკვაძე (სოხუმი) — მ. წერეთელი 0:1, ს. ივანოვა — ნ. ბაღაშვილი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: შენგელია — მ. დათაშვილი, კაჭარავა — გ. პილცერი.

III ტური. კახაბრიშვილი — კაჭარავა 1:0, პილცერი — შენგელია 1:0, კობაიძე — სანაძე 0,5:0,5, ხუგაშვილი — ჩიქობავა 0:1, კოროშინაძე — ხუბულური 1:0, წერეთელი — სიორდია გადაიდო, ბაღაშვილი — ჩხიკვაძე 0,5:0,5, დათაშვილი — ივანოვა 0:1.

I ტურის გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: კობაიძე — ხუბულური 1:0, წერეთელი — ივანოვა 0:1.

თბილისის ჩემპიონმა კოროშინაძემ ტოლი არ დაუდო სოხუმისა და ცხაკაიას წარმომადგენლებს. ეს არც არის გასაკვირი: კოროშინაძეს მეტი გამოცდილება აქვს. მაგრამ საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირის მონაწილე ხუბულურთან გამარჯვება იოლი როდია.

უფრო მეტი ღირებულებისაა ოსტატ კობაიძის მოგება ჩიქობავასთან და ყაიმი — სანაძესთან. პირველმა ამას წინათ თავი ისახელა პროფკავშირების ჩემპიონატის ნახევარფინალში, მეორეს სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალშიც მიუღია მონაწილეობა. ეს შედეგები უფრო იმიტომაა ყურადსაღები, რომ დასახელებული მოჭადრაკეები ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები არიან.

ასეთივე მნიშვნელობისაა ჩიქობავას გამარჯვება ხუგაშვილთან.

შეიმჩნევა ისიც, რომ ჩვენმა ნიჭიერმა გოგონებმა — საქართველოს ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის წერეთელმა, დათაშვილმა, ბაღაშვილმა, კაჭარავამ უფრო ძლიერ მეტოქეებს ჯერჯერობით მხარი ვერ აუბეს. ეს გამოუცდელობის მიზეზია. ვფიქრობთ, შუა ტურნირში ნორჩი მოჭადრაკეები უკვე ყველასთვის სახიფათო მეტოქეები იქნებიან.

ჯერჯერობით გამოცდილი მოჭადრაკეები დაწინაურდნენ. 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ კოროშინაძე (3 ქულა), კობაიძე, ივანოვა, კახაბრიშვილი (2,5-2,5), ჩიქობავა და სანაძე (1,5-1,5).

თ. ნინოშვილი.



ბრნოში მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნისა და ჩეხოსლოვაკიის ველოსპორტის 100 წლისთავის აღსანიშნავად უძველესი ველოსიპედების აღლუმი მოეწყო.

სურათზე: ძველი ველოსიპედები და ველოსიპედისტები.

# ვეტერანთა ჩარევის შემდეგ

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის წინაშე დგას ორი მთავარი ამოცანა. წარმატებით ასპარეზობა ჯერ ტალინის საერთაშორისო ტურნირში, მერე კი ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატში. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ პირველი ტურნირი, ისე როგორც ნაკრების სხვა დანარჩენი მატჩები, საბოლოო ჯამში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ცალკეული ეტაპებია.

ერთი ასეთი მიკროეტაპთაგანი იყო ამას წინათ იტალიაში გამართული ამხანაგური მატჩი ადგილობრივ ნაკრებთან. სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში არ იყვნენ ცსკა-სა და თბილისის „დინამოს" კალათბურთელები: ვ. ანდრეევი, ა. სიდიაკინი, ს. ბელოვი, გ. ვოლნოვი, ზ. საკანდელიძე, მ. ქორქია (ეს უკვე ერთი მთლიანი გუნდია). მათ ნაცვლად მწვრთნელებმა ახალგაზრდობა გამოსცადეს.

35 წუთს უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ინისის" წევრმა მენდეჯიმ, და მხოლოდ ვეტერანთა (მ. პაულაუსკასი, ს. კოვალენკო, პ. ტიმსონი, ა. კრიკუნი, ვ. ზასტუხოვი) ჩარევის შემდეგ გამოსწორდა მდგომარეობა. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 63.58.

# სალდანია — შეთქმულების მსხვერპლი

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელის ჟ. სალდანიას უეცარი გადადგომის ამბავი დღემდე ლათინური ამერიკის ქვეყნების გაზეთების მთავარი თემაა, მით უმეტეს, როცა საუბარი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ეხება. ბრაზილიური გაზეთის „ულტიმა ორას" მიმომხილველს მიაჩნია, რომ სალდანია საგულდაგულოდ მომზადებული შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ამ ორიგინალური დებულების თავისებური გაგრძელებაა ინგლისის პრესაში გამოთქმული აზრი, თითქოს სალდანია ბრაზილიის სპორტის მესვეურებმა უმთავრესად მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებებისთვის მოიშორეს.

სანამ ცნობისმოყვარე კომენტატორები და სენსაციების მოყვარული გაზეთები ამ მოულოდნელი გადადგომის დეტალებს აზუსტებენ, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ზაგალომ ახალი თანაშემწე მიიწვია და მუშაობა გააჩაღა. მწვრთნელის თანაშემწის პოსტი გადაეცა საკმაოდ სახელგანთქმულ მწვრთნელს ო. გლორიას, რომელიც დიდხანს მოღვაწეობდა უცხოეთში და რომელმაც სახელი პირველად პორტუგალიის „ბენფიკასთან" მუშაობით გაითქვა. განაწილდა ნაკრებთან დაკავშირებული სხვა პოსტებიც: გუნდის ტექნიკური მრჩეველია დ. სანი — „კორინტიანსის" მწვრთნელი.

ახალმა ხელმძღვანელობამ საქმიანობა იმით დაიწყო, რომ ნაკრების შემადგენლობაში მიიწვია უწინ დაწუნებული რამდენიმე ფეხბურთელი: მეკარე ფელიქსი („ფლუმინენსე"), მცველი ლეონიდასი („ბოტაფოგო"), თავდამსხმელები არილსონი („ფლამენგო"), დარიო („ატლეტიკო მინეირო"), რობერტო („ბოტაფოგო").

ამას წინათ, როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა „ა" და „ბ" ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც მოიგო „ა" ნაკრებმა — 4.0. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ: ადო, კ. ალბერტო, ბრიტო, ჟოელი, მ. ანტონიო, კლოდოალდო, ჟერსონი, ჟაირზინიო, რობერტო, პელე, პ. სეზარი. „ბ" გუნდის ღირსებას იცავდნენ: ფელიქსი (ლეჟო), ზე მარია, ბალდოკი, ფონტანა (ლეონიდასი), ევერალდო, უილსონი, რიველინო, როჟერიო, ტოსტაო, ლოპესი, ედუ (არილსონი). აღსანიშნავია, რომ ორი გოლი გაიტანა დებიუტანტმა რობერტომ.

# მოკლე ამბები

● ნიუ-იორკი, 10 აპრილი. ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდა უროს ტყორცნაში XVI ოლიმპიადის ჩემპიონი ჰ. კონოლი. მან 16-კილოგრამიანი საწონი 22,02 მეტრზე ტყორცნა, რაც ახალი მსოფლიო მიღწევაა.

● ათენი, 10 აპრილი. ტრადიციულ მარათონში, რომლის დისტანცია სოფელ მარათონიდან ათენამდეა, ამჯერად მხოლოდ 26 სპორტსმენი ჩაება, მათგან მხოლოდ ოთხი საზღვარგარეთელი (თურქები) მძლეოსანი იყო. პირველობა მოიგო ი. აქსაიმ (თურქეთი) — 2:25.30,2.

● ლენინგრადი (?), 10 აპრილი. სპორტულ სიარულსა და ტყორცნებში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიგეს: 20 კმ-ზე — ე. ივჩენკომ — 1:31.37,6, უროს ტყორცნაში — ვ. ხმელიოვსკიმ—68,18 მ, ბადროს ტყორცნაში — ლ. ხმელიოვსკაიამ — 57,02 მ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

# თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „ისნის" სტადიონი საქართველოს პირველობა. 12 აპრილი. „ისანი" (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). დასაწყისი 15 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. **12-16 აპრილი.** „ა" კლასის ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი (მეორე წრის I ტური). მონაწილეობენ: ტტტ (რიგა), „სპარტაკი" და „ბურევესტნიკი" (ორივე — ლენინგრადი), „უნივერსიტეტი" (ტარტუ), „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი), სპი (თბილისი). დასაწყისი 17 ს. (14 აპრილი დასვენების დღეა).

**წყალბურთი.** ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). **12-18 აპრილი. „ა" კლასის II ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობა.** დასაწყისი — დღეს: 12 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი **საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. დღეს:** 5 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04230